საიჯარო ხელშეკრულება

თბილისი 22 ნოემბერი 2013წ.

სააქციო საზოგადოება "გლდანი" (შემდგომში "მეიჯარე") დირექტორის რუდოლფი რაქვიაშვილის სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს "ბებებრო" (ს/კ 400105453) დირექტორის მალხაზ თინიკაშვილის სახით (შემდგომში "მოიჯარე") ვიხელმძღვანელეთ რა საქართველოს "კანონით იჯარის შესახებ" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს სააქციო საზოგადოების 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით.
1.2 იჯარის ხანგრძლივობა განისაზღვრება 10 წლით. საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების გაგრძელება შეიძლება ყოველწლიურად მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

II. საიჯარო ქონების, გადახდის ვადები და პირობები

2.1 საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 1300 აშშ დოლარს ექვივალენტს ლარებში ყოველთვიურად.
2.2 მოიჯარემ თვეში უნდა გადაიხადოს ქირა მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.
2.3 ქირის გადახდა უნდა დაიწყოს შპს "ბებეროს" ამუშავების დღიდან.
2.4 ხელშეკრულების გაფორმების დღიდან "მოიჯარე" ვალდებულია მოიყვანოს იჯარით აღებული ფართი გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. აღნიშნულ პერიოდში "მოიჯარე" თავისუფლდება იჯარის ქირის გადახდისაგან.
წყლით, ელ. ენერგიით, ტელეფონით სარგებლობის და სხვა კომუნალური მომსახურების ხარჯებს იხდის მოიჯარე.

III. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მეიჯარეს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონების მდგომარეობა.
3.2 მოიჯარეს უფლება აქვს არსებული ნორმების დაცვით დაამონტაჟოს აღებულ ფართში აუცილებელი ტექნიკური და სხვა მოწყობილობა, რაც მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული, ხოლო ხელშეკრულების დამთავრების ვადამდე მოშლის შემთხვევაში მოხსნას ისინი.
3.3 მოიჯარე ვალდებულია მოუაროს იჯარით აღებულ ქონებას, შეინახოს ის უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმების დაცვით. აღმოფხვრას საკუთარი სახსრების ხარჯზე მისი ნებისმიერი ნაკლი, რომელიც ქონების ნორმალურ ექსპლუატაციას ხელს შეუშლის.
3.4 იჯარით აღებული ქონების გირავნობა და იპოთეკით დატვირთვა ასევე მესამე პირზე ქირით გადაცემა ფარული შეთანხმების საფუძველზეც კი დაუშვებელია.

IV. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულების პირობები შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი გამოწვეულია ისეთი გარემოებებით რაც მათ კონტროლს არ ექვემდებარება.

V. დავები

5.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეთა შორის წყდება მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობისას თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

VI. დასკვნითი დებულება

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
6.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი ინახება მეიჯარესთან, ხოლო მეორე მოიჯარესთან.

VII. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

მეიჯარე
სს "გლდანი"
ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №6
ს/კ 209439099
"პროკრედიტ ბანკი"
ა/ა GE37PC0113600100030051

დირექტორი:
რ. რაქვიაშვილი

მოიჯარე
შპს "ბებერო"
ქ. თბილისი, ნაქალაქევის ქ. №24
ს/კ 400105453
"ლიბერთი ბანკი"
ა/ა GE85LB0113114430248000

დირექტორი:
მ. თინიკაშვილი